# მომავალი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 92 ოთხშაბათი, 16 დეკემბერი 1909 წ. № 92

გაზეთი „მომავალი“ ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. თვიურათ: თფილისში 80 კაპ. თფილისს გარეთ 90 კ. სამი თვით თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კაპ. საზღვარ გარეთ—ორჯერ მეტი იმაზე, რამდენიც თფილისში ღირს.

განცხადებების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კაპ. უკანასკნელ—ზე 10 კაპ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ სალამოს 4 საათამდე 3 მან. 4 საათის შემდეგ—მეტი. გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება და მათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 80 კაპ. სხვაგან—40 კაპ. ცალკე ნომერი ღირს ყველგან ერთი შაური. რედაქციის ადრესი: თფილისი, რუსის ქუჩა № 3.



ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„მ ო მ ა ვ ა ლ ი“

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის.

**გაზეთი ღირს:**

თფილისსა და თფილისს გარეთ: ერთი წლით 7 მანეთი, ნახევარი წლით 4 მან., საზღვარგარეთ: ერთი წლით 14 მან., ნახევარი წლით 7 მან. სამი თვით: თფილისში 2 მ. 20 კ, თფილისს გარეთ 2 მ. 50 კ., ერთი თვით: თფილისში 80 კაპ., თფილისს გარეთ 90 კაპ.

**ხელის მოწერა მიიღება:**

თფილისში „მომავალი“-ს კანტორაში, ბათუმში, სამტრედიაში და ჭიათურაში რკინის გზის შკაფებში, ქუთაისში ის. კვიტაიშვილთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან—წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში—მ. ჯალაღონიასთან, ხიდისთავში ნ. კობიძესთან, ფოთში ზ. ურუშაძესთან. დანარჩენ ადგილებიდან ფოსტით უნდა გამოგზავნონ ფული რედაქ. კანტორაში.

რადგან ადრესების დამზადება ბევრ დროსა და შრომას მოითხოვს—იმ ხელის მომწერლებმა, რომელთაც მომავალი წლის 1 იანვრიდან სურთ გაზეთის მიღება, აუცილებლათ ამა წლის დეკემბრის გასვლამდე უნდა მოაწერონ ხელი.

რედაქციის ადრესი: რუსის ქ. № 3, ზემო სართული.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип. «Шрома», Калистрату Конст. Цуладзе.



ღრმათ დამწუხრებული მართა მარინე, ფოტინე, ფედოსი და ტერეზი, სამუილ ნაკაიძე, გოჯასპირ ბერეჟიანი, გიგო ღლონტი და კირილე კოპლატაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს

**მიხეილ ლევანისძე კობალაძის**

გარდაცვალებას. პირველი საყვარელი მეუღლის, მეორენი ძვირფასი მამის და მესამენი დაუვიწყარი სიმამრისას. დაკრძალავენ 17 დეკემბერს გურიაში, სოფ. სამების ეკლესიაზე. (2—2)



მშობლები, ძმები და დები ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და ამხანაგებს უდროვოთ გარდაცვალებას ძვირფასი და დაუვიწყარი შვილის და ძმის, სახელოსნო სასწავლებლის მე-4 კლასის მოწაფის

**მიხეილ ადამის ძე ებიაშვილისა.**

გამოსვენება და დაკრძალვა ხუთშაბათს, 17 დეკემბერს, კუკიის სასაფლაოზე. მიცვალებულს გამოასვენებენ ვერის პერეულოკიდან, ცაბაძის სახლიდან.



**ვერის სახალხო აუდიტორია**

საიუბილეო ოთხშაბათს, 16 დეკემბერს 1909 წ. წარმოდგენა

**ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის** 30 წლის სასცენო მოღვაწეობის სადღესასწაულოთ ვერის სახალხო ქართულ სცენის მოყვარენი გამართავენ საიუბილეო წარმოდგენას ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა და ე. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით. წარმოდგენილი იქნება

**ხ ა ნ უ მ ა**

კომედია 4 მოქმედებათ ა. ცაგარლისა

**დასაწყისი სალ. 8 საათზე.** ბილეთები უკვე იყიდება აუდიტორიის კასაში 5—8 საათ.

**ანონსი:** შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება შაბათს, 26 დეკემბერს.

რეჟისორი გ. იორდანიშვილი.



**გლეხი კაცის ისტორია**

მიიღება ხელის მოწერა

„გლეხი-კაცის ისტორია“-ზე

ცნობილი თხზულება ერკმან-შატრიანისა. სრული თარგმანი ფრანგულიდან **ივ. მაჭავარიანის** მიერ, ავტორთა სურათებით და მათი ბიოგრაფიული ცნობებით.

**შინაარსი წიგნისა:**

ნაწილი პირველი—1789 წ. საერო კრება.
ნაწილი მეორე—1792 წ. სამშობლოს განსაცდელი.
ნაწილი მესამე—1792 წ. წელიწადი პირველი რესპუბლიკისა.
ნაწილი მეოთხე—1789 წ. მამულიშვილი ბონაპარტი.

ოთხივე ნაწილი ერთ წიგნათ გამოვა დაახლოვებით 1100 გვერდამდე დიდი ფორმატის. ხელის-მოწერით ეღირება მხოლოდ **ერთი მანეთი.**

ხელის-მოწერა დაიწყო ამა 1909 წლის 15 ნოემბრიდან, გაგრძელდება 1-ლ იანვრამდე მომავალ 1910 წლისა. ხოლო ამ დღიდან შესწყდება ხელის-მოწერა და ორი კვირის შემდეგ წიგნის ბეჭდვას შევუდგებით. დაიბეჭდება **იმდენი, რამდენიც ხელის-მომწერი იქნება.**

ვისაც სურს ამ წიგნის შეძენა, უნდა ეცადოს უსათუოდ 1-ლ იანვრამდე მოაწეროს ხელი, ვინაიდან ეს წიგნი **ცალკე გასასყიდათ არ გამოვა.**

იმ ადგილებიდან, სადაც ჩვენ აგენტები არ გვყავს, ხელის-მომწერლებმა ერთი მანეთის გარდა უნდა გამოგზავნონ კიდევ ათი შაური ფოსტის ხარჯათ ე. ი. სულ 1 მ. 50 კ. თითო წიგნზე; ფულის მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკების გამოგზავნაც საგანგებო წერილით (зак. письмо). გამომცემლობა ეცდება წიგნი დანიშნულ დროზე გამოსცეს. გამოცემის ტეხნიკური მხარე მტკიცე ნიადაგზე დავაყენეთ და ისეთი დაბრკოლება, როგორიც მოხდა „ეკონომიურ მეცნიერების მოკლე კურსი“-ს გამოცემაზე, ამიერიდან აღარ განმეორდება. წიგნი დაახლოვებით პირველ აპრილისთვის დაურიგდება ხელის-მომწერთ.

თუ სად და ვისთან მიიღება ხელის მოწერა, ამის შესახებ იხილეთ ცალკე განცხადება, რომელიც «მომავალის» და „დროება“-ს 6 დეკემბრის ნომრებთან ერთად დაურიგდა ხელის მომწერთ.

ფული და სხვა მიწერ-მოწერის ქაღალდები, აგენტურის და ხელის-მოწერის შესახებ უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Василію Гадилія. Кирочная ул. № 9.

წიგნების გამომც. ამხ. „ალიონი“-ს გამგე **ვასილ გადილია.** (20—9)



ცალობით სავაჭროს განყოფილება

**ძმ. ჯავახოვებისა**

მიხეილის პროსპექტი, 80, სახ. შახალოვისა.

**დიდი იაფი ვაჭრობა**

რვა დღით: 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23 შესამჩნევი ფასდაკლებით ყოველივე საქონელი.

**ფასები შეუდარებლათ.**



**თფილისის კერძო სამკურნალო**

30 მუდმივი საწოლით და სამხობიარო განყოფილებით. ღია არის ყოველ დღე გარედან ავათმყოფთათვის.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლ, № 7, „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე მ. დ.** შინაგან და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა კვირისა 11—12 ს.
**გედევანიშვილი მ. ა.** ნერვების და ელ. ორშაბ., ოთხშ. და პარ. $10^{1}/_{2}$—1.
**გურკო ბ. ა.** შინაგანი. შაბას 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბათობით 9—10 ს.
**კარშინი ა. ა.** კანისა და ვნ., ყოველ დღე, კვირას გარდა $2^{1}/_{2}$—$3^{1}/_{2}$ ს.
**მაღალაშვილი გ. გ.** შინა., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
**მანსვეტოვი ვ. მ.** შინაგანი. ორშაბათ., ოთხშ. და პარ. 1—2 ს.
**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურგ. და დედაკ. ყოველ დღე 12—1 ს.
**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის. ორშაბათ. ოთხშ. და პარსკ. 2—$2^{1}/_{2}$ ს.
**ფირადოვი რ. ბ.** ქირურგ., ყოველ დღე 11—12 ს.
**პოპოვი ბ. ა.** ყურის, ყელის და ცხვირის, ყოველ დღე, გარდა პარ. 2—$2^{1}/_{2}$ ს.
**რცხილაძე ნ.** კბილ. ყოველ დღე 9—10 ს.
**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურგ. ყოველ დღე, 9—11 ს.
**თიკანაძე ი. ე.** დედაკაც. საბებიო. ყოველ დღე 1—2 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკრო-ქიმიური და ბაქტეროლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ქიმი ე. გ. ფედოროვი. (100—57)

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელექტრონით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და შეღავათიანი საფასურით.



**გამოვიდა და იყიდება ახალი წიგნი კ. პ. კანდელაკისა**

**კოოპერაცია**

(თეორია, ისტორია და პრაქტიკა).

გამოცემა „შრომის“ სტამბის ამხანაგობისა

**შინაარსი:** რა არის კოოპერაცია, კოოპერაციის მიზანი, ისტორია. სხვა და სხვა გვარი კოოპერაცია: მომხმარებელი საზოგადოება. მწარმოებელი ამხანაგობანი, საკრედიტო კოოპერატივები. კოოპერაცია სოფლათ. ანგარიში კოოპერატიულ დაწესებულებებში. მნიშვნელობა კოოპერაციისა. კოოპ. ჩვენში.

**წიგნის ფასი 35 კაპ.**

ვინც ხუთ ცალზე მეტს დაიკვეთს დაეთმობა 25% დაკლებით. ერთი ცალის მსურველს ქალაქ გარეთ შეუძლია 35 კაპ. ღირებული საფოსტო მარკა გამოგზავნოს. გასაგზავნი არ გადახდება. ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, Типографія «Шрома» Василію К. Болквадзе.



კბილის ექიმი

**ი. შ. ჭანტურია**

იღებს ავათმყოფებს დილით 8—12 ს. საღამოთი 3—7 ს. კვირა-უქმე დღეს 9—1 საათ. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს).



კბილის ექიმი

**ს. ვ ა შ ა ყ მ ა ძ ე**

დილით მიიღება ავათმყოფები 11 საათიდან 2 საათამდის. საღამოს 5—7 ვერის დალმართი სახ. 15.



**ფ ე რ შ ა ლ ი**

ლ ე ო ნ ტ ი ბ ა რ კ ა ლ ა ი ა

დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფთა მიღება შუადღის 3—6 საათამდე.

**ადრესი:** გოგოლის ქუჩა № 68.



დ ჭიათურაში **კბილის ექიმი**

**ე. ტ. ლორის-მელიქოვი**

ღებულობს ავათმყოფებს დილის 10—2 საათამდე და ნაშუადღევის 4 საათიდან 8 საათამდე.

ადრესი: გ. გაჩეჩილაძის სახლი, ვოგზლის ახლო.



კბილის ექიმი

**რომანიშვილი—დგებუაძისა**

იღებს ავათმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა № 34.



„სორაპნის“ ამხ. გამოცემა.

**ქართველი და უცხოელი მწერლები**

მიიღება ხელის მოწერა

მეოთხე წიგნზე

**„ბანდებილი“**

**ლექსები და მოთხრობები.**

წიგნი ჩვეულებრივი ფორმატის იქნება 225 გვ. და ხელის მომწერლებისთვის ეღირება 25 კაპეიკი კუპონიანა ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით. ეს გამოცემა გაცილებით გაუმჯობესებული იქნება ყოველის მხრივ წინანდელ ჩვენ გამოცემებზე. ხელის მოწერა მიიღება ყველა ჩვენ აგენტებთან პროვინციაში. ხელის მოწერა დაიწყება 15 დეკემბერს და გათავდება 25 იანვარს.

წიგნი ცალკე გასასყიდათ არ გამოვა. ვისაც სურს პირდაპირ დაბარება, მან უნდა გამოგზავნოს ფოსტის მარკები—40 კაპ. წიგნი გამოვა თებერვლის 25 რიცხვებში. (30—1)

ადრესი: Тифлисъ, Т—во «Сорапанъ».


## სახელმწიფო დუმა

(სააგენტოს დეპეშებიდან.)

სხდომის გახსნისას დუმას მოხსენდა მორიგი საქმეები. მათ შორის ბროდსკის განცხადება დუმის წევრობაზე უარის თქმის შესახებ. შემდეგ დუმა შეუდგა 24 წევრის განცხადების განხილვას ბიუჯეტის თვითოეულ ხარჯთ-აღრიცხვის საჩქაროთ განხილვის შესახებ. ბერეზოვსკი აცხადებს მემარჯვენეების სახელით, რომ საჭიროა შობის დღესასწაულების შემდეგ დუმა დაუყოვნებლივ შეუდგეს ბიუჯეტის განხილვას. ნოვიცკი მომხრეა დუმის 34 წევრის განცხადების. წინადადება შეაქვთ კომისიის შეწყვეტის შესა-[illegible] მამულებზე გადასახადის დაწესების პროექტის მე-13 მუხლის შესახებ. ლაპარაკობენ ბარონი ჩერკასოვი, ფინანსთა მინისტრის ამხანაგი და სხვანი. დუმა მეცამეტე მუხლს ღებულობს კომისიის რედაქციით. შემდეგ დუმა იხილავს სახალხო განათლების სამინისტროს ცენტრალურ სამმართველოს მოხელეთა დასაკმაყოფილებლათ 45,000 მან. გადადების შესახებ. კან.-პრ. კენჭისყრით ღებულობენ. შემდეგ იხილავენ სენატის პირველ დეპარტამენტის შტატის გადიდების შესახებ კანონ-პროექტს დუმა ღებულობს ამ კანონ-პროექტს საბიუჯეტო კომისიის რედაქციით სხდომა სწყდება. სხდომის განახლებისას გრ. ბობრინსკი კითხულობს დუმის 37 წევრის: კადეტების და ს-დემოკრატების შეკითხვას მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისადმი კარპოვის მოკვლის შესახებ. ბობრინსკი თავის ვრცელ სიტყვაში აღნიშნავს, რომ აქ არავითარი პროვოკაცია არ მომხდარა და კარპოვი რევოლიუციონერებმა მოკლეს. ის იხსენიებს კარპოვის მოღვაწეობას როგორც გმირის, რომელმაც თავი დასდო ხელმწიფისა და სამშობლოსათვის. დასასრულ მას წინადადება შეაქვს უარყონ შეკითხვა. შემდეგ ლაპარაკობს მილიუკოვი. ის ამტკიცებს, რომ აქ ნამდვილი პროვოკაცია იყო, ასტრახანის ქუჩაზე თვით კარპოვმა დაიქირავა სახლი, კარგათ იცოდა, რომ იქ ასაფეთქებელი ნივთიერებანი ინახებოდა, რომ ის ვოსკრესენსკიმ კი არა, ალექსანდროვმა და პეტროვმა მოკლა. ასეთი პროვოკატორობა მუდამ ხდება მაშინ, როცა განსაკუთრებულ წესებს ვადა გაუდით. ამტკიცებს, რომ მათ აუარებელი მასალები აქვთ ასეთ პროვოკაციის შესახებ. ჩვენ არაფერს არ წავაგებთ, თუ პირს შეგვიკრავთ და არაფერს გვათქმევინებთ, ხვალ ჩვენ თვითონ გავაღებთ პირს და ვილაპარაკებთ. (მარცხნით ტაშის ცემა) შემდეგ ლაპარაკობენ ბობრინსკი, კრუპენსკი, პავლოვიჩი და სოკოლოვი მეორე. სოკოლოვი მეორე არსებითათ მხარს უჭერს შეკითხვას. ის ამბობს, რომ საზოგადოება ელის ამ საზარელ ამბავს ნათელი მოეფინოს. თუ ისეთ პირებს, როგორც ვოსკრესენსკია, ნდობით უყურებენ—ამბობს ორატორი—მოსალოდნელია საზა·

რელი ამბავი, თვით ხელმწიფის შიში უნდა გვქონდეს. საჭიროა საზოგადოების დამშვიდება, რომ რუსეთს საშიშო არაფერი მოელის. (მარცხნით ტაშის ცემა). დასასრულ დუმა ღებულობს წინადადებას გაგრძელდეს კამათი ამ საკითხზე ოთხშაბათის სხდომაზე. სხდომა დაიხურა.

# დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 დეკემბერი.

### საზღვარ-გარეთ

**კელნი.** „კელნიშე ცაიტუნგის“ ატყობინებენ შანხაიდან: პეკინში, სამხრეთ ჩინეთის რევოლიუციონერი თავს დაესხა პრინც რეგენტს როცა ის სასახლის წინ ეტლიდან გამოდიოდა, ხანჯლით მსუბუქათ დასჭრა მუცელში. ის დაიჭირეს. ქალაქში სიწყნარეა.

**ნიუ-იორკი.** შეერთებულ შტატებში ორი დღის განმავლობაში საშინელი თოვლი და ქარ-ბუქი იყო. ცესლში დაიღუპა სამი კაცი, 1510 უსახლ-კაროთ დარჩა. ნიუიორკში დაიღუპა 15 კაცი. დაღუპულთა რიცხვი ჯერ არ არის გამორკვეული. მატარებლების მიმოსვლა შესწყდა, ტელეგრაფ-ტელეფონი აღარ მუშაობს.

**ჰამბურგი.** გუშინ გაიხსნა სიონისტთა კონგრესი.

**ლონდონი.** „ტაიმსს“ ატყობინებენ ბომბეიდან, რომ დჟაკსონის მოკვლის გამო დაიჭირეს 15 კაცი, მრავალი იარაღი და მიწერ-მოწერის ქაღალდები, რომლებიდანაც გამოირკვა შეთქმულობის გეგმა.

### რუსეთი.

**პეტერბურგი.** საოლქო სასამართლოში გაირჩა ბრიანსკის ქარხნების გამგის გორიანოვის საქმე, რომელსაც 39,000 მანეთის გაფლანგვას აბრალებდენ. გორიანოვი გაამართლეს.

**პერმი.** საგუბერნიო საერობო კრებამ დაადგინა გადასდოს 150,000 მანეთი საყოველთაო სწავლის შემოსაღებათ.

**პეტერბურგი.** უეცრათ გარდაიცვალა სახელმწიფო საბჭოს წევრი, კავკასიის ნამესტნიკის მოადგილე ბარონი ნოლდე.

# ტელეგრაფიტიანი ფოსტა

### ოსმალეთი

**გაზ. „ტანინის“ შეჩერება.** სტამბოლიდან „რ. ს.“-ს ატყობინებენ, რომ სასამართლოს დადგენილებით განუსაზღვრელი ხნით შეჩერებულ იქნა გაზეთ „ტანინის“ გამოცემა. „ტანინი“ „ერთობა-პროგრესის“ კომიტეტის ორგანოა. გაზეთის შეჩერება გამოწვეულია მკაცრი წერილების დასტამბვით, რომელიც სენატორების წინააღმდეგ იყო მიმართული. სენატორებს გაზეთი რეაქციონური პოლიტიკის წარმოებას სწამებს.

**თეთრი ტერორი.** სოფიიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ მთელ მაკედონიაში საალყო წესები გამოცხადდა და ხამხედრო-საველე სასამართლოებმა დაიწყეს მოქმედება.

**რკინის გზის მოსამსახურეთა უკმაყოფილება.** იქიდანვე იტყობინებიან, რომ რკინის გზის მოსამსახურეთა შორის ძლიერი მოძრაობა დაიწყო. მოსამსახურენი უკმაყოფილონი არიან ახალი ბიუჯეტის და მინისტრის მოქმედებით, რომელმაც მათ მდგომარეობის გაუმჯობესება შეპირდა და არ შეასრულა. რკინის გზის მოსამსახურენი გაფიცვის მოხდენით იმუქრებიან. მათ მხარს უჭერენ ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურენი.

### შორეული აღმოსავლეთი

**იაპონიის მთავრობის განცხადება.** „რ. სლოვ.“-ს ვლადივასტოკიდან ატყობინებენ, რომ იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრმა უკანასკნელ ხანებში ომის შესახებ გავრცელებული ხმების გამო ოფიციალური განცხადება გამოაქვეყნა. მინისტრი აღნიშნავს, რომ შემაშფოთებელი ხმები პირველათ რუსეთის შორეულ აღმოსავლეთში გავრცელდა, იქიდან კი პეტერბურგში აცნობეს დეპეშით. იაპონიის მთავრობა სრულებით უარყოფს მოსალოდნელი ომის შესახებ გავრცელებულ ხმებს, რადგან ამ ჟამათ რუსეთ-იაპონიას შორის არავითარი უთანხმოება არ არსებობს, რომელსაც შეეძლოს არსებული განწყობილების შეცვლაო. თუ კი რაიმე კითხვები აღიძვრის ჩვენ შორის, იმასაც დიპლომატიური მოლაპარაკებით გადავწყვეტთო.

**იაპონიის სამხედრო მზადება.** „ლიბერტეს“ სიტყვით იაპონიის მთავრობას რუსეთისათვის უცნობებია, რომ იაპონიის სამხედრო მზადება გამოწვეულია კორეაში მოსალოდნელი აჯანყებით.

### რუსეთი.

**ვექილთა წოდებიდან გაძევება.** სატახტო გაზეთების სიტყვით პეტერბურგის სამოსამართლო პალატამ დაადგინა [illegible] ვექილთა თანაშემწეების წრიდან გამორიცხულ იქნას.

**ქალები სახალხო სკ. ინსპექტორებათ.** ოქტომბრისტებმა დუმაში კანონ-პროექტი შეიტანეს, რომ უმაღლეს სასწავლებლებში კურს დამთავრებულ ქალებს უფლება მიენიჭოთ სახალხო სკოლების ინსპექტორებათ იქნან დანიშნული.

**ებრაელ-მუშათა პროტესტი.** დეპუტატ ბელოუსოვმა რიგიდან წერილი მიიღო, რომელსაც ხელს აწერს 200-ზე მეტი ებრაელი მუშა. მუშები პროტესტს აცხადებს სახალხო განათლების კომისიის დადგენილების წინააღმდეგ, რომელიც წინააღმდეგია ისეთი სკოლების გახსნის შესახებ, სადაც სწავლა ებრაულ ენაზე უნდა სწარმოებდეს.

**მასწავლებელთა სიეზდი.** სახალხო განათლების სამინისტროში თათბირი გაიმართა იმის შესახებ, თუ რამ გამოიწვია საშვალო სასწავლებლებში სამეცნიერო მომზადების შესუსტება. თათბირმა სასურველათ დაინახა ამ კითხვის გამოსაკვლევათ მოწვეულ იქნას საშვალო სასწავლებლების მასწავლებელთა სიეზდი. „ნ. რ.“-ის გადმოცემით სიეზდი მაისის დამლევს მოხდება პეტერბურგში.

## პოლკოვნიკ კარპოვის მოკვლა

როგორც დეპეშებიდან უკვე ვიცით, 8 დეკემბერს პეტერბურგში, ასტრახანის ქუჩაზე, № 25 საშინელი აფეთქება მოხდა, რომლის მსხვერპლი შეიქნა ორი კაცი. ერთი მათგანი აღმოჩნდა პეტერბურგის დამცველი პოლიციის უფროსი პოლკოვნიკი კარპოვი. კარპოვი პოლტავის გუბ. აზნაური იყო. განათლება მიღებული ჰქონია მოსკოვის კადეტთა კორპუსში და ალექს. სამხედრო სასწავლებელში. 1893 წლიდან ჟანდარმთა კორპუსის შტაბში მსახურებდა. ერთ დრ'ას საოლქო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი თანაშემწეთ იყო. 1909 წ. ბაქოს დამცველ პოლიციის უფროსათ დაინიშნა, საიდანაც 10 დღის შემდეგ პეტერბურგში იქნა გადაყვანილი დამცველი პოლიციის უფროსათ. პეტერბურგში კარპოვს მხოლოდ 8 თვე უმსახურნია. „რუსკ. სლ.“ შემდეგ ცნობებს გადმოგვცემს კარპოვის მკვლელობის შესახებ. 8 დეკემბერს, საღამოს ათ საათზე კარპოვს სახლში დაუბრებია, ღამის ორ საათზე ადრე ვერ დავბრუნდებიო და წასულა. რამდენიმე წუთის შემდეგ აღელვებული დაბრუნებულა და უკითხავს: ფულის ქისა აქ ხომ არ დამრჩენიაო. ქისა უპოვია და გამხიარულებული ისევ გამსულა ბინიდან. ქალბტ. ვ., რომელთანაც კარპოვი ცხოვრობდა, არ დაწოლილა, კარპოვის დაბრუნებას უცდიდა. ცოტა ხნის შემდეგ კარპოვის ბინაზე დამცველი პოლიციის განყოფილებიდან ტელეფონით შეკითხებიან: სად არის კარპოვიო. ღამის 11 სათზე კარპოვის ბინაზე მისულა ერთი მისი თანაშემწეთაგანი და ქ. ვ-სთვის უკითხავს: სად წავიდა კარპოვი? „ნარიადები“ მზათ არის და ყველანი მას უცდიან.

ქ. ვ-ს უპასუხნია: „სახლში იყო და წავიდა, მხოლოდ სად წავიდა ეს კი არ ვიციო“. რამდენიმე ხნის შემდეგ კარპოვის მოკვლის ამბავიც მიუღიათ. მოკვლის შესახებ ბევრი სხვადასხვა ხმები არის გავრცელებული. კარპოვის მახლობლების სიტყვით ის გაცნობილი ყოფილა ვინმე ვოსკრესენსკისთან, რომელსაც ფინლიანდიის რევოლიუციონური მოძრაობის შესახებ უკანასკნელ ხანებში ბევრი ცნობები შეუგროვებია. ამ ცნობების მიხედვით პოლკოვნიკ კარპოვს მოხსენებაც შეუდგენია ფინლიანდიაში რევოლიუციონერების მოქმედების შესახებ. თვითონ ვოსკრესენსკი მღვდლის შვილია და 1903 წლიდან ეკატერინოსლავის გუბერნიაში მუშაობდა ეს-ერების ორგანიზაციის ხელმძღვანელობით. 1907 წ. მაქსიმალისტებს მიეკედლა. მიიღო მონაწილეობა რამდენიმე მსხვილ ექსპროპრიაციაში. 1907 წელს იარაღის გადატანის დროს ვოსკრესენსკი დაატუსაღებიათ. ის ორ დღეს ყოფილა დატუსაღებული და შემდეგ ისევ გაუნთავისუფლებიათ. ამ ხანებში „მოქცეულა“ ვოსკრესენსკი. ამხანაგებს, „მიშელის“, ასე ეძახდენ ვოსკრესენსკის, პროვოკატორობაზე ეჭვი არ შეპარვიათ და ბევრ საძნელო საქმეს ძველებურათ ანდობდენ ხოლმე. ვოსკრესენსკი იარაღის შესაძენათ ამხანაგების დავალებით პარიზში გამგზავრებულა. ამ ხანებში მსხვილი ექსპროპრიაცია მოხდა. ვოსკრესენსკიმ პოლიციას ცნობები გადასცა მაქსიმალისტების შესახებ. მისი ამხანაგები კატორღაში გაისტუმრეს. თვითონ კი „გადარჩა“. აზეფის პროვოკატორობის გამომჟღავნების დროს ვოსკრესენსკი მისი „პატიონების“ მხურვალე დამცველი იყო და ბაქოის სიკვდილით დასჯას მოითხოვდა აზეფის ცილის დამწამებისათვის.

მალე გამოძიებამ აღმოაჩინა ვოსკრესენსკის კვალი საზღვარ გარეთ ჩადენილ სხვა და სხვა გვარ „მსხვილ დანაშაულობაში“. ვოსკრესენსკის პროვოკატორული მოღვაწეობა გამოირკვა და ისიც იძულებული შეიქნა პარიზი დაეტოვებია. ის პეტერბურგში დაბრუნდა და აქ განაგრძო „მუშაობა“. ვოსკრესენსკის შესახებ ბურცევს ცნობები შეუკრებია და მისი პროვოკატორობა სავსებით დაუმტკიცებია.

კარპოვის მკვლელობა დასახელებული ვოსკრესენსკის ბინაზე მოხდა. კარპოვი ვოსკრესენსკი-გორიანსკის ბინაზე მისულა „ლაქიის“ თანხლებით. პოლიციის ცნობებით «ლაქიის» ვინაობაც გამორკვეულა. ის აღმოჩენილა პოლიციის აგენტი „ფილერი“ — იუენოვი. როდესაც კარპოვი ვოსკრესენსკის ბინაზე მისულა, შეუნიშნავს: ელექტრონის ზარს რატომ არ მოქმედობსო? ვოსკრესენსკი კიბეზე გამოსულა ელექტრონის ზარის გასასწორებლათ და აფეთქებაც სწორეთ ამ დროს მომხდარა. ოფიციალური ცნობით, სავარძლის ქვეშ, რომელზედაც კარპოვი მჯდარა, ჯოჯოხეთის მანქანა ყოფილა მოწყობილი. ეს მანქანა მოტანილი უნდა იყოს ვოსკრესენსკის მიერ რამოდენიმე საათით წინ, სანამ აფეთქება მოხდებოდა. ჯოჯოხეთის მანქანა ვოსკრესენსკის უნდა აეფეთქებია ელექტრონის მავთულის საშვალებით. აფეთქების დროს დასახიჩრდა კარპოვის „ლაქიაც“. ვოსკრესენსკი კი უვნებელი გადარჩა და გაქცევაც დააპირა, მაგრამ პოლიციელებმა შეიპყრეს. მთავრობა ამ მკვლელობის შესახებ იმ აზრისაა, რომ კარპოვი რევოლიუციონერების მოტყუების მსხვერპლი გახდა. საზოგადოება კი ამ შემთხვევას იმ პროვოკაციის შედეგათ სთვლის, რომელმაც მაგრათ მოიდგა ფეხი რუსეთის ცხოვრებაში. ამ მკვლელობის შესახებ შეკითხვაც იქნა დუმაში შეტანილი, რომელიც მკითხველებმა დეპეშებიდან უკვე იციან.

# ახალი ამბები

**ქალაქის საბჭოს** 14 დეკემბრის სხდომაზე სხვათა შორის გადაწყდა: თფილისის უმაღლეს კურსების დამაარსებელთა შუამდგომლობა ქალაქის მიერ მათი დახმარების შესახებ გადაეცეს საფინანსო კომისიას. დაუნიშნოს ქალაქის სკოლების ყოფილ მასწავლებელ ქალს ვასილიევას ყოველ წლიური პენსია 750 მ., გუბერნატორის წინადადება მოკლულ პოლიციელისა და ბერესტოვსკის ოჯახების დახმარების შესახებ საბჭომ უარყო.

✦ **საერობო სიეზდის დადგენილებათა** შემკრებ ბიუროს ყველა მასალები უკვე წესრიგში მოუყვანია, ამ თვის ბოლომდე დაიბეჭდება და ნამესტნიკს წარუდგენენ განსახილველათ.

✦ **ქალაქის თავი ვ. ნ. ჩერქეზიშვილი** ამ დღეებში პეტერბურგს მიემგზავრება. თფილისის გუბ. თავად-აზნაურების წინამძღოლთა კრებაზე 14 დეკემბერს გადაწყდა 1500 მ. საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ავათმყოფ ვ. ჩერქეზიშვილს. პეტერბურგში ჩერქეზიშვილს პროფესორი ფედოროვი უაქიმებს. ქალაქის თავს 2 თვის თავისუფლება აქვს მიღებული.

✦ **დრამატიული საზოგადოება.** უკანასკნელ სხდომაზე, რომელსაც თავად-აზნაურების დეპუტატებიც დაესწრენ, ქართულ თეატრის ადმინისტრატორის თანაშემწეთ არჩეულ იქნა არტისტი ი. იმედაშვილი.

### სახელმწიფო დუმა.

**დეპ. კუზნეცოვის სიტყვა.**

(სტენოგრაფიული ანგარიშიდან).

ბატონნო დუმის წევრებო! ჩემმა ფრაქციულმა ამხანაგმა გეგეჭკორმა თქვენ გაგაცნოთ საზოგადო შეხედულება პიროვნების ხელშეუხებლობის საკითხის შესახებ. თავის სიტყვაში მან ნათლათ აღნიშნა საზოგადოების რომელი ნაწილი სარგებლობს განუსაზღვრელი თავისუფლებით და რომელი სრულიად მოკლებულია ამას. მან საზოგადოთ ილაპარაკა ამ კითხვის შესახებ, მე კი შევეხები პრაქტიკულის მხრით. მე, როგორც მუშათა კლასის წარმომადგენელს, სრულიად არ გამკვირვებია, როცა კომისიამ ისეთი კანონ-პროექტი წარმოადგინა პიროვნების ხელშეუხებლობის შესახებ, რომლითაც მუშათა კლასის ან გლეხის პიროვნება სრულიად არ არის უზრუნველყოფილი.

ბატონებო, ეს არც გასაკვირია და ბუნებრივიც არის იმ ქვეყანაში, რომელსაც პოლიციური სახელმწიფო ეწოდება და, სადაც მშრომელ ადამიანის პიროვნება აზნაურის ძაღლზე იაფათ ფასობს. თავის თავად ცხადია, რომ პიროვნებასთან სხვა გვარი განწყობილება და პატივისცემა არ შეიძლებოდა. გინახავთ თუნდაც ერთი კულტურული ქვეყანა, სადაც იმდენ მორალურ შეურაცხყოფას აყენებენ მშრომელ ხალხს, როგორც ეს რუსეთშია. მშრომელ ხალხის მისამართათ შემოიღეს სიტყვა „შენ“; ეს ადამიანის ღირსების დამცირებაა. ასეთი დამოკიდებულება თითქმის დაკანონებულია რუსეთში, ავიღოთ მაგალითათ ჯარი, თუ ერთმა აფიცერმა გაბედა და სალდათს „თქვენ“ უთხრა, მას პასუხის გებაში აძლევენ. ეხლა ვიკითხოთ, ვისთვის ან რისთვის არის ეს საჭირო? ჩემის აზრით, ეს საჭიროა პოლიციურ სახელმწიფოსთვის. რამდენათაც მეტათ ფეხ-ქვეშ გათელილია პიროვნება, იმდენათ უკეთესია მისთვის და მისი არსებობა უზრუნველყოფილია. ეს კიდევ არაფერი. გინახავთ თქვენ ისეთი კულტურული ქვეყანა, სადაც მუშა კაცს ქვაფენილზე სიარულს უშლიან? ჩვენში კი, ყოველ ქალაქში შეხვდებით ამას. აი მაგალითათ: ოდესის გრადონაჩალნიკმა ზელენიმ ცირკულიარი გამოსცა, რომლითაც მუშებს აუკრძალა ქვაფენილზე სიარული, მათ ნება მისცა მხოლოდ ცხენებთან ერთათ შუა ქუჩაში ევლოთ. ავიღოთ დონის ოლქის ალექსანდროვსკის ვოლოსტი, თქვენ იქაც ასეთ ამბებს შეხვდებით — თუ მუშამ პირი არ დაიბანა ისე ქარხნიდან ვერ დაბრუნდება მუშაობის გათავების შემდეგ. აი, ბატონებო, როგორ ეპყრობიან მუშა ხალხს იმ დროს, როცა ამ ქვაფენილებზე თავისუფლათ დადიან ავაზაკები, მატყუარები, ხაზინის ქურდები, ხალხის სიმდიდრის გამძარცველნი. აი ბატონებო, რა პიროვნების ხელშეუხებლობის კანონ-პროექტზე მსჯელობთ თქვენ ეხლა, როდესაც ყოველ დღე მორალურ შეურაცხყოფას აყენებთ ადამიანის პიროვნებას. და რაკი მორალურ შეურაცხყოფას აყენებთ, პიროვნებას არაფრათ აგდებთ. სულ სხვა საქმეა, ბატონებო, როცა მუშა ხალხი ველარ უძლებს კაპიტალისტის ყვლეფას და იძულებულია ეკონომიურ ბრძოლის გზას დაადგეს. აქ სულ სხვა გვარი ლაპარაკია, რუსეთის სახელმწიფოებრიობის ემბლემა მათრახი გადის და გამოდის. სანამ საქმე სასამართლომდე მივა, მუშების წინააღმდეგსულ სხვა ზომებს ხმარობენ — ერთი მათრახი, დატუსაღება, საპოლიციო უბნებში თავ-პირის დამტვრევა და შემდეგ გაძევება. ამას ვინ აკმარებს, ყველა ამ საჯელის შემდეგ მას სამართალში აძლევენ და აქაც სასჯელს უწყვეტენ. ამ დროს, როცა პეტერბურგის და სხვა ქალაქების ქუჩებზე თქვენ თვალ წინ, ეგრეთ წოდებულ თეთრ ძვალს და ცის-ფერ სისხლს თავისუფლათ შეუძლია დახვრიტოს ის პირნი, რომელთაც საუბედუროთ შავი ძვალი და წითელი სისხლი აქვთ. ეს პირნი თავისუფლათ აძგერებენ ტყვიებს თვალში მშრომელ ხალხს და ამისათვის პასუხს არ აგებენ.

ეს ასე ხდება ჩემ მიერ აღნიშნულ მომენტში, რუსეთის მთავრობა კი სულ სხვაფერ უყურებს ამას. მისი აზრით ეს საომარი დროა, ჩვენ კი ამას ისე ვუყურებთ, როგორც მუშათა კლასის გამოსვლას, როცა ის პროტესტს აცხადებს მათზე ძალმომრეობის შესახებ. აქ მზათ არის ხიშტები და მათრახები კლავენ ყველას, არ ინდობენ მოხუცებს და ბავშვებს. აი მაგალითი: ავიღოთ ბალტიის მხარე. აქ 1200 კაცი დახოცეს სრულიად გამოუძიებლათ. აი ასე ეპყრობიან მუშათა კლასს. თუ ასე ეპყრობიან მუშებს, რომლებმაც არა ერთხელ დაგიმტკიცათ, რომ მათ შეუძლიათ დაიცონ თავიანთი ადამიანური ღირსება, როგორ მოექცევიან გლეხებს, რომლებიც მუშებზე უფრო დაბლა დგანან? აქ არავითარი კანონი არ არსებობს. საკმაოა გლეხმა მემამულის წინააღმდეგ ხმა ამოიღოს, რომ ცხელი ტყვია მისთვის მზათ არის. ბატონებო, უთუოთ გეხსომებათ რა ამბები ხდებოდა ტულის გუბერნიაში. გუბერნატორი ლუჟენოვსკი ისე სცემდა გლეხებს, რომ ბევრი მათგანი ჭკუაზე შესცდა. განა ეს ერთი მაგალითია? აიღეთ პოლტავის გლეხები. გუბერნატორი ფულონი ფეხ-ტიტველა გლეხებს ყინვაზე აჩოქებდა ზამთარში და ეუბნებოდა: ბოდიში მოიხადეთ ჩემს წინაშეო. მოიგონეთ ხარკოვი, სადაც გუბერნატორი როზგებს ცხელ ჩყალში და მარილში ალბობდა და ისე სცემდა გლეხებს: რისთვისაც ესროლა კოლიაევმა თავ. ობელენსკის. აი, ბატონებო, როგორ ეპყრობიან მუშებს და გლეხებს. სულ სხვაფერ ეპყრობიან ეგრეთ წოდებულ „ინოროდცებს“. ავიღოთ მაგალითათ ის ტოლმაჩევი, რომელიც კავკასიაში გაიზარდა და ეხლა ოდესაში ავრცელებს რუს მცხოვრებთა შორის პიროვნების თავისუფლების შემეცნებას. განა ცოტანი არიან ისინი? ბევრი, ძალიან ბევრი. ავიღოთ მაგალითათ პოლონეთი, იქ, როგორც ბალტიის მხარეში, გაუსამართლებლათ დახოცეს ხალხი, ვარშავაში 12 კაცი მოკლეს გაუსამართლებლათ, მე არ ვილაპარაკებ იმის შესახებ, თუ რა ძალ-მომრეობას განიცდის თვითეული ერი რუსეთის განაპირა ქვეყნებში. აიღეთ კავკასია. იქ აუპატიურებენ ქალებს, პატარა ბავშვებს, ბებრებს, მაგრამ მე ვილაპარაკებ იმ ხალხზე, რომელიც შიდა რუსეთში სცხოვრობს. მე ვალაპარაკებ ებრაელებზე. როცა აქ თქვენ წინ როდიჩევმა ილაპარაკა რატომ არ უნდა შემოიღოს სახელმწიფო დუმამ გადასვლა-გადმოსვლის თავისუფლება, ის ფიქრობდა ვის შეუშლიდა ეს ხელს და ვინ იყო ამაში დაინტერესებული. მიკვირს, რატომ არ სთქვა როდიჩევმა, რომ აქ დაინტერესებულია მთავრობა. აიღეთ მოსკოვის მაგალითი: გენერალ-გუბერნატორი დოლგორუკი, რომელიც სავსებით ებრაელების ქრთამებზე სცხოვრობდა, და არა მარტო დოლგორუკი, აიღეთ თუ გინდ სხვები!.. ჩვენ აქ, ამ ტრიბუნიდან გვითხრეს ეს 17 ოქტომბრის მანიფესტამდე იყოო. ხუთი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც გამოაცხადეს თავისუფლება და პიროვნების ხელშეუხებლობა და მე თქვენ გეკითხებით: გაშრა თუ არა ქალაქის და სოფლის ქუჩები იქ დანთხეული სისხლისაგან? არა და აი ეს არის ხალხზე ზრუნვა. იმ დღეს, როცა პიროვნების ხელშეუხებლობა გამოცხადდა, ოდესაში ებრაელთა 500 დასახიჩრებული გვამი ეყარა ქუჩაში. პირველ დღიდანვე ეს თავისუფლება ებრაელთა სისხლში ჩაახრჩეს. აი, ბატონებო, მორჩენ თუ არა ებრაელებს, ხელი მიყვეს რუსეთის სხვა ერებს, მაგრამ რაკი ასეთი თავისუფლების იქ გავრცელება ვერ შესძლეს, რუსეთის ძირითად მცხოვრებლებისაგნ გაილაშქრეს. და აი, რაც გამოაცხადეს პიროვნების ხელშეუხებლობის ნამდვილი თავისუფლება რამდენიმე დღის შემდეგ ამ თავისუფლების გარშემო აღიმართა სახრჩობელები, რომლებზედაც დღე მუდამ ქანაობენ დამხრჩვალთა გვამები. მე ვფიქრობ ეხლა მესამე დუმაში კი არ უნდა გაგვეხილა პიროვნების ხელშეუხებლობის საკითხი „ხმა მარჯვნიდან: პირველი და მეორე დუმა არ არის, უკვე გარეკეს“. ჩემის აზრით ჯერ საჭირო იყო ისეთი პირობების შექმნა, როცა პიროვნებას აფასებენ და ფეხ-ქვეშ არ თელავენ და ასეთი პირობები ჯერ რუსეთში არ არის. ტყუილია დღეს ამაზე ლაპარაკი. ამ კითხვის გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ, როგორც დეპუტატმა გეგეჭკორმა სთქვა, რუსეთის მეორე რევოლიუციის დროს.

✦ **სოფლის მსაჯულის მოკვლა.** 9 დეკ. მანგლისში გალიცინის საზოგადოების მცხოვრებნი თავს დაესხნენ მეავის საზოგადოების მსაჯულს ს. გოგიჩაიშვილს და ძალზე სცემეს. გოგიჩაიშვილმა როგორც იქნა თავი დააღწია მათ. მეორე დღეს მისმა ნათესავებმა ის გზაზე დავარდნილი იპოვეს. მაშინვე საავათმყოფოში გაგზავნეს, მაგრამ გზაზე გარდაიცვალა.

✦ **თფილისის სომხურ საქველმოქმედო საზოგადოებამ** შუამდგომლობა მიიღო განჯის გუბერნიის კატარის სამრეწველო მიდამოების მცხოვრებლებიდან, რათა ხსენებულ საზოგადოებამ იქ თავისი განყოფილება დაარსოს.

✦ **საზღვარ-გარეთიდან დაბრუნდა** და სამსახურს შეუდგა თფილისის ელექტრონის ტრამვაის დირექტორი ბატაილი.

✦ **ქალაქის გამგეობამ** 12 დეკემბრის სხდომაზე დაადგინა დაკმაყოფილებულ იქნას მეგრელების, კახელების და სომხების თხოვნა, რომ პროვინციიდან ჩამოყვანილი ღორები ქალაქის სასაკლაოზე იკლებოდეს და გაყიდვის კვიტანციებიც იქვე იწერებოდეს.

✦ **პეტერბურგიდან ცნობა მოვიდა,** რომ იქ გარდაცვლილა სახელმწიფო საბჭოს წევრი, კავკასიის ნამესტნიკის წარმომადგენელი ბარონი ე. ი. ნოლდე.

✦ **საქართველოს ეგზარხოსი.** პეტერბურგიდან მოსული ცნობებით, საქართველოს ეგზარხოსათ დანიშნულია ტამბოვის არქიეპისკოპოსი ინნოკენტი.

✦ **კავკასიის მუზეუმის** ა. ნ. კაზნაკოვი სპარსეთში იქნა გაგზავნილი სამეცნიერო მიზნით.

✦ **კულპის რკინის გზა.** სახელმწიფო საბჭოს უკვე განუხილავს კულპის რკინის გზის პროექტი, რომელიც კავკასიიდან სპარსეთისკენ იქნება გაყვანილი და რომელსაც, სატახტო ქალაქის გაზ. სიტყვით, დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ექნება.

✦ **35 წლის არსებობის აღსანიშნავათ** თფილისის ქალაქის თვითმართველობას გადაუწყვეტია შეადგინოს და გამოსცეს თფილისის ისტორიული მიმოხილვა.

✦ **სახალხო სახლი.** ქალაქის გამგეობას დაუდგენია წარმოდგენების სარეპეტიციოთ სახალხო სახლს განყოფილება მიაშენოს.

✦ **გადმოსახლებულნი უკან ბრუნდებიან.** „ტ. ლ.“ ატყობინებენ ბაქოდან, რომ კუბის მაზრის მცხოვ. რუსეთიდან გადმოსახლებულნი ციებ-ცხელების გამო ისევ სამშობლოში ბრუნდებიან.

✦ **თფილისის გუბერნატორმა** დაამტკიცა „სურამის საზოგადო კლუბის“ წესდება.

✦ **ქალაქის საბჭოს** შუამდგომლობით ადმინისტრაციის მიერ ნება დართულია საშობაო უქმეებზე მადათოვისა და გრაფსკის ქუჩაზე ვაჭრობა იმართებოდეს.

✦ **ჟურნალი „ესპერანტოს“ ენაზე.** ა. ასტვაცატუროვმა შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე, რათა ნება დაერთოს მას გამოსცეს ორ-კვირეული ჟურნალი „ესპერანტოს“ ენაზე, «Кавказскій Эксперантистъ».

✦ **სალდათის შეპყრობა.** 14 დეკემბერს თფილისში შეიპყრეს სიღნაღის მაზრის მცხოვრები ოგანეზოვი, რომელიც კარგა ხანია სალდათობას ემალებოდა. შეპყრობილი სიღნაღის მაზრის უფროსთან გაგზავნეს.

✦ **ვერის აუდიტორია.** დღეს, 16 დეკემბერს ნ. გაბუნია-ცაგარლის 30 წ. სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავათ ქართულ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება პიესა „ხანუმა“.

# წერა-კითხვის საზოგადოება

## შთაბეჭდილება

კვირის კრება ღირს-შესანიშნავი კრება იყო. ამ კრებაზე ნიღაბი აეხადა და ნათელი გახდა ის, რასაც ზოგიერთები დღემდის ასე ხელოვნური ოსტატობით მალავდენ. ირჩევა მნიშვნელოვანი კითხვა.

კითხვა ნათელი და მარტივია. რამდენიმე ას კაცს „საზოგადოებაში“ წევრათ ჩაწერა სურს, მაგრამ საწევრო გადასახადის სიდიდის გამო იძულებული არიან უარი სთქვან. ასევე ხდება სოფლებშიაც. იქაც საწევრო გადასახადის სიდიდის გამო ვერ მოუგროვებიათ 30 კაცი, რომ განყოფილება გახსნან. იწერებიან: თუ მანეთი იქნება საწევრო ფული, მარტო გურიაში 500 კაცი იქნება წევრიო. ასე თხოულობენ თფილისშიაც, განსაკუთრებით მუშები, რომლების წარმომადგენელმა ჯერ კიდევ კრების გახსნამდე 300-ზე მეტი მუშის-მიერ ხელმოწერილი განცხადება გადასცა თავმჯდომარეს.

მოსალოდნელი იყო, რომ გამგეობა და კრების უმეტესობა ანგარიშს გაუწევდა ამ გარემოებას და საწევრო გადასახადის შემცირების მომხრე გამოვიდოდა, მაგრამ სინამდვილემ კი სულ სხვა დაგვანახვა. საწევრო გადასახადის შემცირებას ისეთი სიმკაცრით შეხვდენ, ისეთი თავგამოდებით იბრძოდენ ამ შემცირების წინააღმდეგ, რომ გეგონებოდათ—ეს არის მტერი კარს მოგვადგა და სამშობლო განსაცდელშიაო. რა შეუწყნარებელი და აბსურდული საბუთები არ მოიყვანეს, რომ კითხვა გაეშავებიათ და მიაღწიეს კიდეც მიზანს.

საწევრო გადახდის შემცირება უარყოფილ იქნა. გიხაროდეთ ბატონებო!

საწევრო გადასახადის დაკლების მოწინააღმდეგეებს არ ეყოთ მოქალაქობრივი გამბედაობა, რომ უარყოფის ნამდვილი მოტივი აშკარათ ეთქვათ და ამიტომაც იყო, რომ ასეთ სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდენ. ბ. ქავთარაძე ამტკიცებს: ვინა სთქვა, რომ საწევრო გადასახადი დიდია და ის უშლის ხელს წევრათ გახდენოო. ეს სულ ტყუილია. თფილისში არ მოიძებნება არც ერთი კაცი, რომ სამი მანეთის გადახდა გაუჭირდესო. ბ. ქავთარაძეს მხარი დაუჭირა გამგეობის წევრებმა და განაცხადეს: საწევრო გადასახადის დაკლების მომხრე ჩვენც ვართ, მაგრამ მთავრობა არ დააკმაყოფილებს ჩვენს შუამდგომლობას და თან, შეიძლება ასეთი შუამდგომლობით თვით „საზოგადოება“ საფრთხეში ჩავაგდოთ, რადგან იმ ხალხს, რომელიც წევრობას მოითხოვს—მთავრობა სხვა თვალით უყურებს და თან კიდევ რომც კაი შევიდენ, წევრთ, ამდენი წევრისთვის შენობასაც ვერ ვიშოვითო!

აი, სწორეთ აქ არის დამარხული ძაღლის თავი. გამგეობას ეშინია იმ ხალხის, რომელიც წევრობას მოითხოვს და თავის შიში „საზოგადოების“ საფრთხეთ გამოაქვს და მით ცდილობს თავის გულის წადილი „საზოგადოების“ დაცვის მანტიაში გახვიოს და ამგვარათ თავის თავი „საზოგადოების“ მხსნელათ მოგვაჩვენოს, მარა ვინ უნდა მოატყუონ ამ თვალთ-მაქცობით! განა ჩვენ არ ვიცით, თუ რისთვის არიან წინააღმდეგი საწევრო გადასახადის შემცირების? ვიცით, და წინათაც კარგათ ვიცოდით. შეიძლება ამ ხალხის შემოსვლით მართლა მოელოდეს ვინმეს საფრთხე, მარა ყოველ შემთხვევაში არა „საზოგადოებას“, არამედ თვით იმათ, რომლებიც დღეს გაბატონებულან იქ და ბატონობას კი ასე ადვილათ როდი თმობენ. მთავრობით დაშინება, ეს ის დიდი არტილერიაა, როგორც სამართლიანათ აღნიშნა ერთმა წევრთაგანმა, რომელიც გამოაქვს ხოლმე ყოველ ასეთ შემთხვევაში მოწინააღმდეგეს. ეს დაშინება ფრიად დამახასიათებელია ჩვენი ეგრეთ წოდებული საზოგადო მოღვაწეების. დაშინებით ლამობდა ბ. გვაზავაც საგუბერნიო საეროპო თათბირზე ისეთი წინა დადების გატანას, რომელიც მემამულის ჯიბის ძირიდან იყო ამოგორებული და რომ მის სიმახინჯეს არ დაეფრთხო თათბირი, ათასგვარი ფერადი საღებავებით იყო აჭრელებული. რას იტყვიან პეტერბურგში, რომ არ მიიღებთ 3 ივნისის საარჩევნო სისტემას—გაიძახოდა ბ. გვაზავა? რას იტყვის მთავრობა, რომ მანეთამდე ჩამოვიყვანოთ საწევრო გადასახადი—გაიძახოდენ გამგეობის წევრები და მათი ავან-ჩავანნი!

რომ თავისი გაეყვანათ, დაკლების მოწინააღმდეგენი არაფერს არ მოერიდენ. იმათ ისე აშკარათ, ისე ტლანქათ გადალახეს და გასთელეს ფეხ-ქვეშ კრების ყოველგვარი წეს-რიგი, რომ კრების ნაწილი იძულებული გახდა პროტესტი გამოეცხადებია ამ ძალადობის წინააღმდეგ და კენჭის ყრაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს და როცა ერთმა ამათგანმა ეს განაცხადა, ბ. ლასხიშვილმა წამოიძახა: очень пріятно-ო. დიახ, გვჯერა, რომ „пріятно“ იყო და აკი ამიტომაც მოიყვანეს კრების ეს ნაწილი აქამდის.

არსად, არც ერთ კრებაზე არ გვინახავს ის, რაც აქ მოხდა კენჭის ყრის დროს. როცა კამათი დასრულდება, საზოგადო წესია, რომ თავმჯდომარე შეკრებს ყველა წინადადებებს და რიგ-რიგით კენჭს უყრის თავმჯდომარემ აიღო და კენჭის საყრელათ წამოაყენა გამგეობის წინადადება, სადაც ნათქვამია: სასურველია თუ არა წესდების შეცვლა? და სხ. კამათი იყო წესდების ერთი მუხლის შეცვლაზე, კენჭის საყრელათ კი მთელი წესდების შეცვლა-არ შეცვლა გამოაქვთ. საიდან სადაო. როცა ერთმა წევრმა შენიშნა, რომ ამ რიგათ კენჭის ყრა შეუძლებელია, რომ საჭიროა ჯერ ყველა წინადადებები შეგროვდეს და მხოლოდ მერე ეყაროს კენჭიო, თავმჯდომარე იძულებული გახდა დათანხმებული-ყო. მან რამდენიმე წუთით კრება შესწყვიტა და გამგეობა დარბაზიდან გავიდა ალბათ, სათათბიროთ. სხდომის განახლების შემდეგ მან შეკრიბა ყველა წინადადებები, მარა არც კენჭის ყრის წეს-რიგისათვის, არც წინადადებების შესახებ არავის ლაპარაკის ნება არ მისცა და აშკარა უსამართლობით აიძულეს კრების ნაწილი კენჭის ყრაში მონაწილეობა არ მიეღო. მან, მიუხედავათ იმისა, რომ ჯერ ჩვენი წინადადებისთვის უნდა ეყარა კენჭი, ისევ გამგეობის წინადადება—წესდების შეცვლა წამოაყენა—რომელზედაც არავის არც ულაპარაკია და არც მორიგ კითხვათა შორის იყო; უყარეს კენჭი მხოლოდ ამ წინადადებას და გაიყვანეს კიდეც.

Всѣ средства хороши—რომ იტყვიან, ესაა.

ამგვარი საშუალებით გამარჯვება დამარცხებაზე უარესია და ვინც ასე იმარჯვებს, ის თვითონვე აწერს ხელს თავის სრულ ზნეობრივ დამარცხებაზე.

**გლდანელი.**

(სხდომის გაგრძელება.)

ეწრელი. ბ. ჭიჭინაძემ შენიშნა „საზოგადოებას“, საწევრო ფულის შეუმცირებლობის გამო წევრები გვიდიანო. ქავთარაძე ამ აზრის წინააღმდეგია. მე კი დაგიმტკიცებთ, რომ საწევრო ფული დიდია. ზოგი ამბობს, ყველას შეუძლია 3 მანეთის გადახდაო. ეს მართალი არ არის. ჩვენ კრების გახსნის წინ თავმჯდომარეს განცხადება მივართვით, რომელზედაც 300 კაცზე მეტს უწერია ხელი. ეს განცხადება აშკარათ მოწმობს, რომ „საზოგადოების“ წევრობა გვსურს, მაგრამ დიდი საწევრო გადასახადის გამო სურვილი ვერ შეგვისრულებია. ჩვენი განცხადებაც საწევრო ფულის დაკლებას მოითხოვს 1 მანეთამდე. საჭიროა ყურადღება მიაქციოს გამგეობამ ჩვენს განცხადებას.

ირ. რამიშვილი. ევროპიელი ფინანსისტები ამბობენ: რკინის გზებზე გადასახადები გავაიაფოთ, რომ მეტი ფული შემოვიდესო. თუ საწევრო ფულს გააიაფებთ, წევრები მეტი გეყოლებათ და შემოსავალიც მოიმატებს.

ფ. მგელაძე. საჭიროა კამათი შეწყვეტილ იქნას. წინადადებას ვიძლევი დაარსდეს განსაკუთრებული კომისია, რომელიც შეიმუშავებს საკითხს საწევრო ფულის შემცირების შესახებ და სისრულეში მოიყვანს.

თავმჯდ. მოისმინეთ გამგეობის მოხსენება და კამათი მერე შევსწყვიტოთ.

პ. ჰიჰინაძე. ჩვენ წინააღმდეგი ვართ თავმჯდომარის წინადადებისა. უხერხულია გამგეობის წევრს ბოლოს მიეცეს სიტყვა და შემდეგ კამათი შესწყდეს. წინა კრებაზედაც ასე მოიქცა თავმჯდომარე. გამგეობის წევრს, გოგიჩაიშვილს, უკანასკნელი სიტყვა მისცა და შემდეგ კამათი მოსპო, რის გამოც ჩვენ საშუალება არ გვქონდა გამგეობის წევრისათვის პასუხი გაგვეცა.

დ. კარიჭაშვილი. საწევრო ფულის შემცირება სასურველია. წარსული წლის საზოგადო კრებაზედაც ასეთივე სურვილი გამოითქვა, მაგრამ განსაკუთრებული პირობების გამო დღეს-აც ხვალ საწევრო ფულის შემცირების შესახებ შუამდგომლობის აღძვრა შეუძლებელია. კულტურულ-განმანათლებელი საზოგადოებანი დღეს ყველგან იკეტება. გაიხსენეთ პოლონეთის მაგალითი. მე დარწმუნებული ვარ, წესდების შეცვლაზე უარს გვეტყვიან და მოსალოდნელია, რომ ამითაც არ დაკმაყოფილდენ და ხელი შეგვახონ. მთავრობა იკითხავს: ვისთვის არის საჭირო საწევრო ფულის შემცირება? და რომ შეიტყობს ვისთვისაც იქნება საჭირო, შეცვლილ წესდებას არ დაამტკიცებს. ვთქვათ, წესდება დაამტკიცეს და ხალხის დემოკრატიული ნაწილიც „საზოგადოებაში“ შემოვიდა, მაშინ „საზოგადოების“ გამგეობაც უნდა შეიცვალოს, დელეგატების წარმომადგენლობა უნდა იქნას შემოღებული. წლიურ კრებებზე 10,000 კაცი დაესწრება, ჩვენ არ შეგვიძლია ამდენი ხალხი სადმე დავსვათ. ამიტომ მე წინააღმდეგი ვარ დღეს-დღეობით წესდების შეცვლისა.

თავმჯდ. გამგეობის აზრი ის არის, რომ შემცირდეს ფული და გამრავლდეს წევრები, მაგრამ დღეს მოუხერხებლათ გვხედავთ წესდების შეცვლას.

ფ. მგელაძე. ამდენ ხანს გამგეობის წევრები მიკიბულ-მოკიბულათ აღნიშნავდენ იმას, რაც ბ-ნმა კარიჭაშვილმა გადაჭრით გამოთქვა. „წესდება რომ შევცვალოთ, ბევრი წევრები ჩაეწერებიან. ეს ამბავი მთავრობის ყურადღებასაც მიაქცევს. ვაი თუ დაგვხუროს! ვაი თუ ხელი შეგვახონ! ვაი თუ შენობა ვერ ვიშოვოთ!“ აი ის მძიმე არტილერია, რომლითაც გამგეობა ებრძვის საწევრო ფულის შემცირებას. გამგეობის შეხედულებიდან აშკარაა, რომ ხალხის შეყვანა არ სურთ „საზოგადოებაში“. თქვენ აღძარით, ბატონებო, შუამდგომლობა და თუ მთავრობა შუამდგომლობას არ შეიწყნარებს, ამას მომავალი გვიჩვენებს. მთავრობის სათქმელს გამგეობა არ უნდა ამბობდეს.

ი. მერკვილაძე. მომხრე ვარ 1 მანეთიან საწევრო გადასახადის, რადგან „საზოგადოებაში“ მეტი ხალხი ჩაეწერება. მომხრე ვარ აგრეთვე იმისა, რომ საწევრო ფულის მოკრეფაც კარგათ იყოს მოწესრიგებული.

დ. ლორთქიფანიძე. სიხარულით შევსცქერი „საზოგადოების“ მოქმედებას, რომლის დანიშნულებაა განათლება შეიტანოს გაუნათლებელ, მდაბიო ხალხში, რომელსაც აქ არ ვხედავთ. კარგი იქნება გამგეობა შეუთანხმდეს საზოგადო კრებას საწევრო ფულის შემცირების შესახებ. ამით ხალხის მეტ ნაწილს საშუალება მიეცემა „საზოგადოებას“ დაუახლოვდეს და მის მოქმედებაში მონაწილეობა მიიღოს. შიშობენ, „საზოგადოებაში“ რომ ბევრი წევრები შემოვიდეს, მთავრობა დაგვხურავსო, მაგრამ ეს შიში საფუძვლიანი არ არის. 1 მანეთი საწევრო გადასახადის შემოღება ძალიან კარგი იქნება. დღეს თუ ფართო საზოგადოების ნაწილი არ ეწერება „საზოგადოებაში“ ეს იმიტომ, რომ იმედი არა აქვს 3 მანეთის გადახდის. აქ ამბობენ: წევრებს დრო არა აქვთ და საწევრო ფულები იმიტომ არ შემოაქვთ „საზოგადოებაშიო“ და ამისთვის ფულის აკრეფის მოწესრიგებას მოითხოვენ. მე გარწმუნებთ, ვინც დრის უქონლობით ამბობს უარს ფულის შემოტანაზე; იმას თვით „საზოგადოების“ მდივანიც რომ მივუგზავნოთ, ამითიც არაფერი გამოვა. „სბორშჩიკებ“, რომ დავაწესოთ და ხალხს ძალა დავატანოთ ფულის გადახდაზე, ამით ზნეობრივათ დავმარცხდებით საზოგადოების თვალში. როდესაც საწევრო ფული 1 მან. იქნება, წევრებს თვითონ შეუძლიათ შეარცხვინონ, გაკიცხონ ის ამხანაგები, რომელნიც „საზოგადოებაში“ საწევრო ფულს არ შემოიტანენ. ვინც მეძლებული იყო და „საზოგადოებიდან“ გავიდა, ის ფორმისათვის ყოფილა ჩაწერილი. ამისთანებს არც «საზოგადოება» აინტერესებს და არც ხალხის განათლება. ნუ დაგვაშინებს ის, რომ მთავრობა წესდებას არ დაგვიმტკიცებსო. ყოველი მიზნის განსახორციელებლათ საჭიროა სამი რამ: აზრი, სიტყვა და საქმე. გამგეობა აზრით და სიტყვით მომხრეა საწევრო ფულის შემცირებას, მაგრამ საქმით კი ვერ ბედავს მის განხორციელებას. თქვენ სცადეთ, ბატონებო, საზოგადო კრების სურვილის შესრულება და თუ არაფერი გაკეთდება, არც არაფერი გაფუჭდება.

გ. ლასხიშვილი. „საზოგადოების“ გამგეობისადმი საყვედური სამართლიანი არ არის. შეგიძლიათ ოქმებიდან დარწმუნდეთ, რომ 1900 წ. ნიკო ელიავა და სხვები მოითხოვდენ საწევრო გადასახადის შემცირებას, მეორე ოპოზიცია კი გამგეობის სრულ რეორგანიზაციას მოითხოვდა. ჩვენ ორივე მოთხოვნილება ერთმანეთს დავუკავშირეთ. ყველანი პრინციპიალურათ თანახმანი ვიყავით საწევრო გადასახადის შემცირებისა. კრების დიდმა უმრავლესობამ მიიღო წინადადება საწევრო გადასახადის შემცირების და საერთო რეორგანიზაციის მოხდენის შესახებ. ყოველივე ეს იმ დროს შესაძლებლათ მიგვაჩნდა, მაგრამ პირობები შეიცვალა და თქვენგანვე არჩეულმა კომისიამ სთქვა, რომ ამ ცვლილებების მოხდენა შეუძლებელიაო. ჩვენ მომხრენი ვართ „საზოგადოების“ გადემოკრატებისა, მაგრამ დღეს-დღეობით ეს შეუძლებლათ მიგვაჩნია.

საბაშვილი. ანგარიშებიდან ჩანს, რომ წევრების რაოდენობის მხრით „საზოგადოება“ რეგრესს განიცდის. ამის მიზეზია ის, რომ საწევრო ფული დიდია. „საზოგადოებაში“ ეწერება ის, ვისაც 3 მანეთის გადახდა შეუძლია. არიან ისეთები, რომელთაც სურთ „საზოგადოებაში“ შემოსვლა, მაგრამ 3 მან. ვერ გადაუხდიათ. გლეხებისათვის და მუშებისათვის საწევრო ფული ხელმისაწვდომი უნდა იყოს. სამი მანეთის მაგიერ 1 მ უნდა დაწესდეს.

თავმჯდ. 8 ორატორი არის კიდევ ჩაწერილი. შეიძლება ვინმემ უარი სთქვას.

პ. ჰიჰინაძე. ორატორებმა სამ-სამი წუთი ილაპარაკონ.

გ. ურატაძე. წინადადებას ვიძლევი კამათი მოისპოს.

(ორივე წინადადებას კენჭიყრით დასტოვეს).

პ. ჰიჰინაძე. საწევრო გადასახადის შემცირების წინააღმდეგ სამ საბუთს ასახელებენ:

1) საწევრო ფულის შემცირებასთან ერთათ ჩვენ სხვა საორგანიზაციო ცვლილებებიც უნდა მოვახდინოთ, პროვინც. განყოფილებებისათვის დელეგატების წარმომადგენლობა უნდა შემოვიღოთ, ამის ნებას კი მთავრობა არ მოგვცემსო.

2) საწევრო გადასახადის შემცირება ნიშნავს ჩვენდამი მთავრობის ყურადღების მიქცევასო.

3) გამგეობის წევრი ბ. კარიჭაშვილი ამბობს, წესდება რომ შევსცვალოთ ათი-ათასი კაცი ჩაეწერება „საზოგადოებაში“ და ჩვენ შენობას ვერ ვიშოვითო. პირველ მოსაზრებათა ერთათ დაკავშირებას ადგილი არა აქვს. ალბათ, არ სურთ შემცირებული საწევრო გადასახადის დამტკიცება და ამიტომ უკავშირებენ მათ ერთმანეთს. დელეგატების შესახებ შეგვიძლია ჯერ-ჯერობით საკითხი გადავსდოთ. წესდების შეცვლის წინააღმდეგ მეორე მოსაზრებაა მთავრობის შიში. ეს შიშიც უადგილოა, რადგან თვითონ გამგეობის ერთმა წევრმა გვამცნო, რომ ამას წინათ სახალხო განათლების დირექციას მივმართეთ შველების გამო და დახმარებას დაგვპირდაო. აქედან ჩანს, რომ დირექცია მხარს გვიჭერსო. ამბობენ, შენობა არ გვექნება მომავალი წევრებისთვისო. შიში არ უნდა იქონიოთ, ბატონებო, რომ მთელი საქართველო „საზოგადოების“ წლიურ კრებას მოაწყდეს. საჭიროებისთვის კი, შენობაც მოიძებნება. ამნაირათ, საწევრო ფულის იმ თავითვე შემცირების წინააღმდეგ წამოყენებული მოსაზრებანი—ყველა უსაბუთოა. და თუ გამგეობა მაინც და მაინც დაიჟინებს წესდების უცვლელათ დატოვებას, ჩვენ ამას ვიტყვით: ფერი ფერსა, მადლი ღმერთსაო.

ცაგარელი. მე წინადადებას ვიძლევი, თუ შესაძლებელი იქნება, დაწესდეს 3, 2 და 1 მანეთი საწევრო გადასახადი. ვინც როგორი შეძლებისა იყოს იმის და მიხედვით შეიტანოს ფულიც.

დ. ხარტიშვილი. საჭირო არაა მთავრობის პირით გამგეობა გველაპარაკებოდეს. გამგეობამ ანგარიში უნდა გაუწიოს ხალხს და საზოგადო კრების დადგენილება და მთავრობას უნდა წარუდგინოს. თუ მთავრობა უარს ეტყვის, გამგეობა ძალას დაემორჩილება. საჭიროა საწევრო ფული შემცირდეს და ფულის შეგროვებაც მოწესრიგდეს.

მ. გედევანიშვილი. საშიშია თუ არა შუამდგომლობის აღძვრა ჩვენს დროში? გამგეობა ამბობს—საშიშიაო. ზოგიერთებს კი ეჭვი შეაქვთ გამგეობის გულწრფელობაში. მე ეს შიში სამართლიან მოსაზრებათ მიმაჩნია. შარშან საზოგადოებამ ოლქის მზრუნველთან შუამდგომლობა აღძრა საბავშვო ბაღის გახსნის შესახებ, სადაც ბავშვებს ქართულ ენაზე შეეძლებოდათ საუბარი. მზრუნველმა შუამდგომლობა არ შეიწყნარა. ჩვენ მაინც დავეძალეთ. მზრუნველმა მინისტრზე მიგვითითა ჩვენი თხოვნა სახალხო განათლების მინისტრისათვის გაგვეგზავნა. 17 აპრილს ჩვენი თხოვნის საპასუხოთ სამინისტროსაგანაც უარი მივიღეთ და უართან ერთათ ახალი ცირკულიარიც, რასაკვირველია, არა ჩვენდა სანუგეშო. ეს შემთხვევა ყველამ მხედველობაში უნდა იქონიოს. პრაქტიკული გამოცდილება იმას გვასწავლის, რომ რეაქციის დროს ფრთხილათ ვიქცეოდეთ.

კ. ჯაფარიძე. მე არ ვეთანხმები ბ. გედევანიშვილის აზრს. მისი შეხედულობით რომ ვიხელმძღვანელოთ, ერთი ხაბიჯის გადადგმასაც ვერ შევძლებთ ისე, თუ ჩვენი მოქმედება მთავრობის სურვილს არ შევუფარდეთ. ვისაც მოქმედება სურს, მთავრობის სურვილს არ უნდა დაემყაროს. საზოგადოების საქმე წინ არ წავა ისე, თუ თავის სურვილს არ დაადგა. გამგეობაც და საზოგადო კრებაც მომხრეა საწევრო ფული 1 მ. იყოს. რა უშლის ხელს? მთავრობა უარს გვეტყვისო. არსებობს სახალხო უნივერსიტეტი და სხვა საზოგადო დაწესებულებანი, სადაც საწევრო გადასახადი 1 მანეთია, მაგრამ ამის გულისათვის ისინი არ დაუხურავთ. თქვენ აღძარით შუამდგომლობა სათანადო დაწესებულებისადმი: თუ ნება დაგვრთეს ხომ კარგი, თუ არა და -უარს გვეტყვიან, სხვა არაფერი არ იქნება.

თავმჯდ. საწევრო ფულის შემცირებასთან ერთათ წესდების სხვა მუხლების შეცვლაც დაგვჭირდება და ეს კი ჩვენ შეუძლებლათ მიგვაჩნია დღეს.

ნასიძე. ოპოზიცია და გამგეობა თანახმაა საწევრო გადასახადი 1 მ. იყოს დაწესებუ-

დი მხოლოდ გამგეობას დღეს-დღეობით ამის განხორციელება შესაძლებლათ არ მიაჩნია. კომისია ავირჩიოთ და მან გამგეობასთან ერთათ საბოლოოთ გადასწყვიტოს ეს საკითხი.

თავმჯდომარე. კამათი შეწყვეტილია. კითხვას ვაყენებ: შემცირდეს წლიური გადასადი 1 მანეთამდე თუ არა?

(კრებიდან სხვადასხვა წინადადებებს აყენებენ).

თავმჯდ. (შესცვალა პირველი წინადადება) სასურველია თუ ეს შესაძლებელი იქნა, საწევრო გადასახადის შემცირება თუ არა?

პ. ქიქინაძე. ნება მიბოძეთ წინადადება შემოვიტანო.

გრ. ურატაძე. სანამ კენჭის ყრას შევუდგებოდეთ, ნება მომეცით კენჭის ყრის წესრიგის შესახებ ვილაპარაკო. კრების მიერ წამოყენებულია რამოდენიმე წინადადება. ყველას კენჭი უნდა ეყაროს. ისეთ წინადადებებს, რომელშიაც გადაჭრილი აზრი არაა გამოთქმული, წინადადება, რომელიც ამბობს, „თუ ასე იქნა, მაშინ ისე იქნეს", არ შეიძლება დაისვას კენჭის საყრელათ. შემომაქვს ჩემი წინადადება: საზოგადო კრება ავალებს გამგეობას შუამდგომლობა აღძრას სადაც ჯერ არს, რომ საწევრო გადასახადი შეცვლილ იქნას 1 მანეთათ.

თავმჯდ. რეზოლიუციები წერილობით წარმომიდგინეთ ყველამ. (კრება სწყდება 10 წუთით).

წინადადება 8 შემოვიდა, რომელსაც ახლავე მოისმენთ.

პ. სურგულაძე კითხულობს რეზოლიუციებს: 1) ტყავაძე მოითხოვს საწევრო ფულათ 20 კ. დაწესებას; 2) ქ. ქავთარაძე— საწევრო ფულის შეგროვების ორგანიზაციის მოწყობას; 3) ცაგარელი—3, 2 და 1 მ. საწევრო ფულის დაარსება; 4) მერკვილაძე—3, 2 და 1 მ. საწევრო ფულის დაარ., ფულის შეგროვების მოწესრიგებას და პროვინციალურ განყოფილებებისათვის წარმომადგენლობის შემოღებას; 5) ურატაძე—აღიძრას შუამდგომლობა 1 მ. დასაწესებლათ; 6) აგლაძე—თუ კრება დღევანდელ პირობებში მოსახერხებლათ სცნობს საზ. წესდების შეცვლას, დაარსდეს 1 მ. საწ. ფული; 7) ხარტიშვილი—დაარსდეს 3 მ. მაგიერ 1 მ.; 8) გოგიჩაიშვილი—სცნობს თუ არა კრება შესაძლებლათ, რომ წესდება შეიცვალოს; 10) თავმჯდ. წინადადება: სასურველი და საჭიროა საწევრო ფული 1 მ. იქნეს შემოღებული, მხოლოდ წინადადების განხორციელება მიენდოს გამგეობას.

წინადადების შესახებ სიტყვა ითხოვა გ. ურატაძემ. თავმჯდომარემ უარი უთხრა.

თავმჯდ. კენჭი უნდა ვუყაროთ გამგეობის წინადადებას: სცნობს თუ არა საზოგადო კრება შესაძლებლათ, რომ წესდება შეიცვალოს.

ნ. ელიავა. თქვენი განცხადების შემდეგ ორ სიტყვას მოგახსენებთ. კრებაზე არის ისეთი მიმდინარეობა, რომელიც მარტო ერთი მუხლის შეცვლის მომხრეა. აქ კი, როდესაც კითხვას წესდების შეცვლაზე აყენებთ, ამით ჩვენ უხერხულ მდგომარეობაში გვაყენებთ.

გ. ლასხიშვილი. თქვენი ფორმულა არის გამგეობის ფორმულა. თქვენი წინადადება ჩვენს ფორმულაში შედის. ამიტომ ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია გამგეობის რეზოლიუციას ეყაროს კენჭი.

გრ. ურატაძე. კამათი ეხება საწევრო ფულის შემცირებას და კითხვაც ასე უნდა დაისვას და არა მთელი წესდების შეცვლის შესახებ.

პ. სურგულაძე. განმეორებით კითხულობს გამგეობის წინადადებას. კრება უკმაყოფილებას აცხადებს კითხვის ასე დაყენების გამო. მდივანი სათითაოთ ეკითხება წევრებს: შეიცვალოს წესდება თუ არა?

პ. ქიქინაძე. უარს ვაცხადებ კენჭის ყრაში მონაწილეობის მიღებაზე. მდივანი განაგრძობს შეკითხვას. ხალხიდან ხმა მოისმის: «ძალადობაა».

თოთიბაძე. პროტესტს ვუცხადებ გამგეობას.

მდივანი ითვლის კენჭის ყრის შედეგს. წესდების შეცვლის წინააღმდეგ აღმოჩნდა 43 წევ. შეცვლის მომხრე 6, კენჭის ყრაში მონაწილეობა არ მიიღო 20—მა.

თავმჯდ. წესდების შეცვლა უარყოფილია.

პ. ქიქინაძე. წინადადება დასვით: სურს თუ არა საზოგადო კრებას, რომ მარტო ერთი მუხლის შეცვლას ეყაროს კენჭი.

თავმჯდომარე რეზოლიუციების შესახებ კამათს სწყვეტს. შემდეგ კრება შეუდგა ანგარიშების მუხლობრივ განხილვას.

(დასასრული იქნება).

# პროვინცია

**ბათომი**. ახლათ არჩეულ ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგად. ბათომის განყოფილების გამგეობას თითქო მეტი სიცოცხლე და საქმიანობა ეტყობა, თუმცა ჯერ-ჯერობით არც ერთი საქმე არ დაუგვირგვინებიათ, მარა ის ჯერ რამდენიმე სექციათ დაიყო და ლამობს საქმის წესიერათ წაყვანას. გამგეობის თეატრალურმა სექციამ უკვე შეადგინა სცენის მოყვარეთა ჯგუფი და განზრახვა აქვ, ამავე ჯგუფს შეუერთონ მომღერალთა გუნდი, რომელიც ხელს შეუწყობს სცენის მოყვარეებს წარმოდგენების თუ საღამოს გამართვაში. სცენის მოყვარეებმა შეადგინეს თავისთვის სახელმძღვანელო წესდება, აირჩიეს რეჟისორი, არჩევენ პიესებს და სხვა. მხოლოთ, სიმართლე სჯობია ითქვას, რომ სცენის მოყვარეთა ჯგუფში საკმაო ნაწილს აქედანვე ეტყობა უდისციპლინობა, რის წყალობითაც, მათ საქმეს კუს ნაბიჯით მსვლელობა ეტყობა. ამიტომ მეტი არ იქნება ვისიც ჯერ არს ყურადღება მიაქცევდეს და ჯგუფში მხოლოდ იმათ იყოლიებდეს, ვისაც ნამდვილ საქმის სიყვარული და თვით საქმე აინტერესებს და არა მოდა ან უბრალო სახელი სცენის მოყვარისა.

— ნ. გაბუნია-ცაგარლის იუბილეი ბათომელებმა გადასდვეს მომავალი წლის 14 იანვრისათვის, რა დროსთვინაც პატივცემული იუბილიარი მოპატიჟებული იქნება ბათომში.

— აქ კარგა ხანია ყელჭირვება მძინვარებს, რამდენიმე ბავშვი კიდეც იმსხვერპლა. ამის მიზეზით საქალებო გიმნაზიის რამდენიმე კლასი 7 დეკემბრიდამ 7 იანვრამდე დაითხოვეს.

— დეკემბრიდან აქ თფილისის სახაზინო თეატრის არტისტები სდგამენ ოპერას. ხალხი ბევრი ესწრება. სულ დასდგამენ ოთხჯერ.

— ბათომის ქალაქის სკოლის მასწავლებლებს განზრახვა აქვთ საშობაოთ მოსწავლეებისათვის გამართონ შობის ხე.

— ქალაქის საბჭოს ფინანსიური მხარე მწარე კრიზისს განიცდის. რამდენიმე თვეა მოსამსახურეები თავის დროზე ვერ ღებულობენ ჯამაგირს. ცხადია, ქალაქის შემოსავალი კლებულობს ერთი იმიტომ, რომ, როცა აქ ქარხნები მუშაობდა ვაჭრობა-მრეწველობა გაცილებით უკეთ იყო ახლანდელზე. ქალაქსაც შემოსავალი ქონდა და ასე თუ ისე თავის მოთხოვნილებასაც იკმაყოფილებდა. ახლა ქარხნები დაკეტილია. ვაჭრობა დაეცა და ქალაქის შემოსავალმაც იკლო. აუარებელი „ნედოიმკები" ითვლება ქალაქის გადამხდელებზე, უმთავრესათ კი მდიდარ-შეძლებულ ნაწილზე. წვრილ და შედარებით ხელ მოკლეებზე კი მგონი სრულიად „ნედოიმკები" არ ითვლება, რაც ძალიან საგულისხმიეროა ვისთვისაც ჯერ არს. ამ ნაკლის თავიდან ასაცილებლათ ქალაქის მამებმა განიზრახეს აგენტების მაგიერ უბნის ზედამხედველებს მარტო დააკისრონ გადასახადების აკრეფა ალარ გამოდგა და ისევ ძველ გზას დაუბრუნდნენ. ამასთან, ქალაქის ხარჯი შედარებით მეტია ეხლა უწინდელზე იმ ოთხმოცი თუ მეტი ათასი მანათის, რომელსაც სახლის პატრონები იხდიან ექიმ ტრიანდაფილიდისის მოკვლის შემდეგ „სტრაჟნიკების" შესანახათ. ამიტომ ქალაქს საბჭოს საფინანსო კომისიამ სამუდამოთ გაკოტრების ასაცილებლათ გადასწყვიტა ამნაირათ შეამციროს ხარჯები. შემცირებულ იქმნას, სადაც მოსახერხებელი იქნება, მოსამსახურეთა რიცხვი. მოაკლდეს 10 პროცენტი ვინც 500—100-მდე მ. ღებულობს და 15 პროც.—ვინც 100-ზე მეტს იღებს. ამასთან, ალარ მიეცეს დახმარება სკოლებს და დაწესებულებებს. მათ შორის ქართულ სკოლას და სახალხო უნივერსიტეტს ხუთას-ხუთასი მანეთი. ასეთი „სბერეჟენიით" ზემოხსენებული კომისიის აზრით 25 ათასამდე დგება.

— ოთხშაბათს, 9 დეკემბერს, ბათომის ყველა სასწავლებლებში გადახდილ იქნა პანაშვიდი გარდაცვალებულ დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სულის მოსახსენებლათ.

— ქ. შ. წ. კ. გამავრ. საზ. ბათომის განყოფილებამ გადასწყვიტა გახსნას უფასო სამკითხველო. ასეთი სამკითხველო აქ პირველია. მუშებმა უკვე იწყეს წევრებათ ჩაწერა. იმედია სხვა ნაწილიც საზოგადოებისა თანაგრძნობით მოეკიდება ასეთ საქმეს და შესაფერ დახმარებას გაუწევს წევრათ ჩაწერით და სხვა დახმარებით და მით ერთ უდიდესს ნაკლს ბათომისას გაასწორებენ.

— ახლო მომავალში სხვა პირების ხელმძღვანელობით ბათომში გამოვა ამას წინათ შეჩერებული გაზ. „ბატუმსკაია იზვესტია". ამგვარათ, ბათომში ორი რუსული გაზეთი იქნება. **დ. ი.**

**რუისი.** (ქართლი.) აქაური გლეხის მდგომარეობა მეტათ აუტანელი და უნუგეშოა. მოუსავლობამ დიდ საგონებელში ჩააგდო მცხოვრებლები. ეხლავე შეუდგენ პურის ყიდვას. კოდი ფასობს 6—7 მ. რა ქნას გლეხმა, რით გაუსწორდეს ან მღვდელს ან მთავრობას, იმას არავინ კითხულობს აქვს რამე თუ არა.

— ერთათ-ერთ ნუგეშათ ის ჩაითვლება, რომ კომბოსტოს მოსავალი საზოგადოთ აქ საშვალო იყო. კომბოსტო აქაურებს გააქვთ ქართლში გასაყიდათ. მაგრამ რა, მცხოვრებთ სხვა უბედურებასთან ერთად, ვერც აქ დაუხწევია თავი აქაურ ჩარჩ-ვაჭრების კლანჭებიდან. ეს ვაჟბატონები ყოველ მარჯვე შემთხვევას ეძებენ, მოატყუონ და გაყვლიფონ ისედაც გაყვლეფილი გლეხები. ამ მხრით სახელი გაითქვა ადგილობრივმა ვაჭარმა ი—ნ ყ—მა. ეს ვაჟბატონი დარწმუნებულია იმაში, რომ გლეხებს არა გაეგება რა სასწორის (სასწორიც იმას აქვს აღებული) უღმერთოთ ატყუილებს მათ წონაში, საწყალი გლეხი მიმხვდარია, რომ ცხადათ მოტყუილებულია, მაგრამ რა ქნას: თუ სიტყვა შეუბრუნა ი—ნის რისხვას ვერ ასცდება, ხელით შეხებასაც არ ერიდება ხოლმე ზოგიერთ შემთხვევაში. ეს კიდევ ცოტაა. ამ მოტყუილებულ გლეხს ეუბნება: „კომბოსტო გაყიდე, ფული აიღე, საჭიროა „მალარიჩი" და „დალოცვა", რომ ბარაქა მოგეცეს"-ო. რასაკვირველია, როდესაც აქაური გლეხი „დალოცვას" გაიგონებს, მზათაა დასთანხმდეს ასეთ წინადადებაზედ. ასე ამ რიგათ, ეგრედ წოდებულ „მალარიჩს" და „დალოცვის" სახით გლეხი მისივე სამიკიტნოში სტოვებს იმ გროშებსაც კი, რაც მან კომბოსტოში აიღო და ხელ-ცარიელი ბრუნდება სახლში. ამას ქვია ახალი მოდის შანტაჟი. საჭიროა ამ გარემოებას შემდეგში მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, და სასწორს დღეის შემდეგ განაგებდეს საზოგადოებისაგან ნდობით აღჭურვილი და მცოდნე პირი.

— სოფ. რუისი დაშორებულია ქარელზე 4—5 ვერსით. ფოსტის მიღება ქარელიდან რუისში მეტად არეული და მოუწესრიგებელი იყო. ფოსტის დამტარებელი იყო აქ ერთი ვინმე „ფეფეურია" თავის ნებით საზოგადოების დაუვალებლათ დამდგარი, რომელსაც სავაჭრო საგნათ გადაექცია კორესპონდენციების ტარება. იყო შემთხვევა, რომ თვეობით აჩერებდა საჭირო და საჩქარო წერილებს მცხოვრებლებისას; ბედნიერი იყო ის კაცი, თუ თხუთმეტ დღეში ეღირსებოდა წერილს იმისგან, რისთვისაც განსაკუთრებულ ჯილდოს თხოულობდა. ისე კი, თითო წერილზე ღებულობდა 20—30 კაპ. რომ ბოლო მოეღოთ „ფეფეს" ალვირ-წახსნილობისათვის, ადგილობრივი სამინისტრო სკოლის მასწავლებელთა ინიციატორობით, მოწესრიგდა ფოსტის რიგიანად მიღება. ეხლა ყოველ დღე ვღებულობთ ფოსტას. აქამდის თუ 20—30 კ. გადახდა უხვდებოდათ მცხოვრებლებს თითო წერილზე, ეხლა მხოლოდ 6 კაპ. იხდიან. ამ 6 კ. 3 კ. მიაქვს ქარელის სადგურის უფროსს წერილების შესანახი, რადგან აქ საფოსტო განყოფილება არ არსებობს; დანარჩენი 3 კ., 2 კ. მიაქვს ახალ დამტარებელს, 1 კაპ. კი ადგილობრივი უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს სასარგებლოთ მიდის.

— 22 ნოემბერს მოხდა სასოფლო ყრილობა ადგილობრივი მთავრობის მამასახლისის განკარგულებით სხვადასხვა კითხვების განსახილველათ. სხვათა შორის საზოგადოებამ დაადგინა იშუამდგომლოს სადაც ჯერ არს სამინისტრო სკოლასთან დამტკიცდეს თანამდებობა საპატიო მზრუნველისა. ამ თანამდებობაზე კიდეც დაასახელეს ადგილობრივი მცოვრები გ. მამაცაშვილი, რომელმაც შემოსწირა სკოლას მომავალი საავრონომიო განყოფილებისათვის ოთხი დღიური მიწა, მასთან აღუთქვა საზოგადოებას ყოველ წლიურათ სკოლის სასარგებლოთ გორის ხაზინაში 100 მანათი შეიტანოს.

— 30 წელიწადია რუისში არსებობს ერთ კლასიანი სკოლა, რაც ერთათ-ერთ კულტურულ დაწესებულებათ ითვლება საზოგადოებაში. როგორც მისი წარსულიდან, სჩანს სკოლა ვერ ასრულებდა თავის დანიშნულებას. საზოგადოება დიდი გულ-ნატკენი იყო ამ გარემოებით. რომ შევეკითხე აქაურებს, რა არის მიზეზი აქამდის, რომ ორკლასიანი სასწავლებელი არა გაქვთ მეთქი? პასუხათ მივიღე. ორი კლასიანი კი არა, იმის დახურვაც გვინდოდა რაც არის, ისე გაგვიტეხა გული მასწავლებელმაო. ერთი მასწავლებელი (არავიაშვილი) გვყავდა და სკოლაში კვირაში ერთხელ ვერ დაინახავდი და თუ დაინახავდი, ფხიზელი არ იქნებოდა, ასეთ პირობებში განა შეიძლებოდა სკოლის გაუმჯობესობისათვის გვეფიქრაო. ეხლა კი დიდი მოწადინებული არის საზოგადოება იშუამდგომლოს სადაც ჯერ არს, რომ მომავალი ენკენისთვიდან ექნეს ორკლასიანი სასწავლებელი საავრონომიო განყოფილებით. **მოიდნახელი.**

## წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ ნება მომცეთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადო იმ პირთ, რომლებმაც კეთილ ინებეს ჩემთვის ნივთიერი დახმარების გაწევა. თითო მანეთი: გ. ბებელიძე, სიმონ გ—ძე; 65 კ. ილია ივ.; 50 კ. სიდ. თ—ძე, ყარამან რ—ლი, ან. რი—ლი ნიკო ბ—ძე, ანტონ ჩ—ძე, . Э.; 40 კ. მოსე მე—ლი, სიო ყაჯ—ლი; 30 კ. დიმიტრი კ—ძე, ივანე ცი—ძე, გერასიმე ნი—ძე, მაშო მე—ხი; 20 კ. იაკობ ჩ—ძე, ლადიმე მეგ—ლი, ლუკა ბე—ლი, სანდრო კ—ძე, არსენ ჩხ—ძე, სამუელ თა—ძე, ივლიანე ჩ—ძე, ფოსინე კ—ძე, ლუკა ბ—ხია, სიმონ მეგრე—ლი, იაშა კ—ძე, ნესტორ მ—ძე, ვასილ ჭი—ძე, პავლე ც—ძე; 15 კ. ეპიფანე ბ—ლი, ს. მინდაძე, დომ. ბოლქ—ძე, მ. ცინცაძე, მიხ. და ნეს. წიქ—რია, ას. ცინცაძე, ჯ. დოლიძე; 10 კ. ფარნა ც—ძე, ქ. წიტაიშვილი, საჩინო, დ. დუმბაძე, ეს. ჟღენტი, რ. ც—ძე, დ. ჩხიკვაძე, ერმილე ოს., ნ. მეგრელიშვილი, ილ. სიხარულიძე, უშანგი ც—ძე, ვანო გე—რი, ერმილე რ—ლი, ფ. სიხარულიძე, კოსტა ხა—ლი, სიმონ თ—ძე, ალექსი ასა—ძე, სიო სიხა—ძე, მიხ. მინდაძე, გერასიმე ოსი—ლი, ვანო კუ—ძე, მ. ქაფ—ძე, კაპიტონ გ—ძე, კაპ. ასათიანი, თ. ჩიჩუა; 5 კ. ი. სი—ძე, ერმალო მე—ლი, სოლომონ რ—ლი, ქიშ. რ—ლი, თომა ბ—ძე, ივლ. თოდრია და ესოფ. მე—ლი. სულ 14 მ. 35 კ.

**მ. ნაცვალაძე.**

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. მელიქ-შახნაზარიანცი

დ. ჩოხატაურში
**წიგნის მაღაზიაში**
მიიღება ხელის მოწერა „მომავალზე" და აგრეთვე ყოველგვარ ქართულ-რუსულ ჟურნალ-გაზეთებზე. გლეხი კაცის ისტორიაზე კი, მხოლოდ პირველ იანვრამდე. ვღებულობთ ამასთანავე ყოველგვარ სასტამბო და წიგნების ყდების „ზაკაზებს". (10—3)

**საჭირო**
არის ჟურნალ-გაზეთებისათვის აგენტი დ. ზუგდიდში. პირობების გაგება შეიძლება თფილისში, ბორჯომის ქ. № 5, რუკოვიჩთან და დ. სამტრედიაში ვოგზალზე წიგნის შკაფში ყ. კოპალეიშვილთან. (10—4)

**გამოვიდა და იყიდება**
საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში
—● კედლის კალენდარი 1910 წ. ●—
შედგენილი ზრ. ჩარკვიანისაგან და გამოცემული „სორაპანი"-ს ამხანაგ. მიერ ფასი 40 კაპ.
═ სახალხო კალენდარი ●═
1910 წლ. შედგენილი მ. გაჩეჩილაძისაგან. ვინც ერთად არა ნაკლებ 50 ცალისას იყიდის %% დაეთმობა.
ადრესი: Тифлисъ т-во. „Сорапань". (15—12)

**ავტომობილები**
ვისაც სურს შვეიცარიის საუკეთესო ავტომობილის ფაბრიკებიდან შეიძინოს ავტომობილი, ლანდო, კარეტა, კალიასკა, ღია თუ დახურული, ოჯახისთვის თუ საბირჟოთ.
ეტლი 5 ან 12 ადგილიანი და სხვა და სხვა
მოგვმართოს შემდეგი ადრესით: „Herrn Bendianidse, Automobilfabrik «AJax» A. G. Hirschengraben, 80 «Zurich».
რადგან ამ ცნობილ ფაბრიკაში ვმუშაობ, შემიძლია მსურველს ფაბრიკის ნაკლებ ფასში ვაყიდვინო.
დამატებითი ცნობები «მომავალის» რედაქციაში. ბენდიანიძე. (0—26)

მიიღება ხელის მოწერა სამეცნიერო-პედაგოგიურ და სალიტერატურო ჟურნალ
**„განათლება"-ზე**
(წელიწადი მესამე)
1910 წლის 1 იანვრიდან ჟურნალი გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში, გარდა ზაფხულის ორი თვისა, ორიდან სამ ბეჭდურ თაბახამდის. ხელის მომწერთათვის წლიურათ ჟურნალი ეღირება 3 მ., ნახევარი წლით 2 მ. გაგზავნით, სოფლის მასწავლებლებს ჟურნალი წლიურათ **ორ მანეთათ** დაეთმობათ.
ხელის მოწერა მიიღება თფილისში ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და „ნაკადულის" რედაქციაში.
ქალაქს გარეთიდან წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგს ადრესით: Тифлисъ, Дворянская Грузинская гимназія, Л. Г. Боцвадзе
რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე.

წელიწადი **1910 წლისთვის** მეორე.
მიიღება ხელის მოწერა
**ყოველ-კვირეულ იუმორისტულ ჟურნალზე**

**მათრახი**
და სალამური
ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი

ვინც ამ თავიდან გამოიწერს ჟურნალს და მთელი წლის ფასს შემოიტანს აჩუქეს პირველ რიცხვებში ჟურნალთან ერთათ
**პრემიათ გაეგზავნება**
**ახალი კრებული**
ამ კრებულში მოთავსებული იქნება: ლექსები, მოთხრობები, იუმორისტული ნაწარმოებნი და სხვა. როგორც ორგინალური ისე ნათარგმნი.
**წიგნი 300 გვერდიანი იქნება, მოზრდილი ფორმატის და ეღირება 1 მ.**
მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ახალგაზდა მწერლები და პოეტები.
ჟურნალის ფასი მთელი წლის **სრულად უნდა აუცილებლათ შემოიტანონ პირველ ივნისამდე.** ვინც ამ დრომდე სრულად ვერ შემოიტანს პრემიას ვერ მიიღებს. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილათ: პირველათ 2 მ. 50 კ. დანარჩენი 2 მ. 50 კ. პირველ ივნისამდე.
1910 წლის 1 იანვრიდან ჟურნალი გამოვა იმავ ფორმატით და იმავ შინაარსით. რედაქცია ეცდება გააუმჯობესოს ჟურნალი. მონაწილეობას მიიღებენ: **აზიანი, ბლიკვამე, განჯის-კარელი, ეშმაკი, გოლდემარი, ზომლეთელი, თურდოსპირელი, იასამანი, კენტი, ლეჩხუმელი, მალაქიაშვილი, პიკუნა, ტ. რამიშვილი, რუხამე, რუშაველი, ტუქსიშვილი, ფონ-ტეფო, ქუჩიშვილი, შხანკოლა და სხვანი.**
ჟურნალი წლიურათ ღირს 5 მ. თვიურათ 50 კ. ცალკე ნომერი 10 კ.
ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ Типографія Т-ва „Шрома" Василію Карамановичу Болквадзе.

სტამბა ამხ. «შრომა» რუსის ქ., 3.